ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 423

"7" ნოემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 24 ოქტომბრის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №ე-56-9-872 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127[2] მუხლის მე-2 პუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თხოვნა ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 24 ოქტომბრის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №ე-56-9-872 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 12 ოქტომბრის №38.16.738 განკარგულების შესაბამისად, გაუქმდეს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 24 ოქტომბრის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №ე-56-9-872 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობა, კერძოდ, ,,შეზღუდვა: ა) დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე'' იმ პირობით, თუ „აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი" გადაიხდის 24 342 (ოცდაოთხი ათას სამასორმოცდაორი) ლარის ოდენობით თანხას, შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 (თვრამეტი) თვის ვადაში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

შეთანხმება

ქ.თბილისი -- ---2017

,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 24 ოქტომბრის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №-56-9-872 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით დამატებითი შეთანხმების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში ,,აუქციონატორი") წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ((წარმოდგენილი ---) სახით, ხოლო მეორე ლილი ერაძე (პ/ნ: 01030027491) (შემდგომში ,,მესაკუთრე"/„აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი")

,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 24 ოქტომბრის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №-56-9-872 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის -- ოქტომბრის N-- განკარგულებისა და ,,--" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის -- --- N-- განკარგულების შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. „აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი" ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების გაფორმებიდან 18 (თვრამეტი) თვის ვადაში, გადაიხადოს 24 342 (ოცდაოთხი ათას სამასორმოცდაორი) ლარის ოდენობით თანხა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შესაბამის ანგარიშზე:

რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22;
სახაზინო კოდი: 300773390

2. „აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი"-ს მიერ შეთანხმების პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულად ითვლება შესაბამის ანგარიშზე თანხის გადახდის/გადარიცხვისა და „აუქციონატორის" მიერ დადასტურების შემდეგ.
3. „აუქციონატორი" ვალდებულია შეთანხმების პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის „აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი"-ს მიერ გადახდის/გადარიცხვისა დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, შესაძლოდ მოკლე ვადაში დაადასტუროს „აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი"-ს მიერ შეთანხმების პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.
4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისა და ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ.

5. „აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი“ ვალდებულია აანაზღაუროს წინამდებარე შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯები.
6. შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორ-ორი ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

„აუქციონატორი“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

„აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი“